

# რატომ დებენ უცხოელები ქართულ ბანკებში ფულს

გაზეთი “ახალი თაობა” – 12 ოქტომბერი, № 266, 2009

პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილი “ეკონომიკური თავისუფლების აქტი” ოპოზიციისა და ექსპერტების სერიოზული კრიტიკის საფუძველი გახდა. მოკლედ, სააკაშვილის ეს რევოლუციური ეკონომიკური ცვლილებების პაკეტი ღია კარის მტვრევად შეფასდა, უფრო სიდრმისეულად კი ეს ცვლილებები სერიოზული პოლიტიკური განაცხადი და ქვეყნის ორიენტაციის დასტურია

ეკონომიკური ექსპერტი ლადო პაპავა მიიჩნევს, რომ ამ განცხადებით ნათლად ჩანს საქართველოს ხელისუფლების არაეფექტური არჩევანი. ვის ინტერესშია, საქართველო დაშორდეს ევროკავშირს და რომელი სახელმწიფოს ინტერესები უნდა იყოს საქართველოს ბანკებში? – ამ და სხვა მნიშვნელოვან ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებით გთავაზობთ ინტერვიუს ეკონომიკურ ექსპერტ ლადო პაპავასთან.

– ბატონო ლადო, პრეზიდენტის მიერ ინიცირებული “ეკონომიკური თავისუფლების აქტი” პოლიტიკოსების მხრიდან ძირითადად მორიგ პიარ-აქციად შეფასდა. ეკონომიკური კუთხით ამ ეტაპისთვის რამდენად აუცილებელი საკანონმდებლო ინიციატივები ჯააჟღერა მიხეილ სააკაშვილმა და შეამცირებს თუ არა ეს ეკონომიკურ კრიზისს?

– პირველი, რისი განცხადებაც მინდა: ამ წინადადებებს საერთოდ არანაირი კავშირი კრიზისთან არ აქვს; მეორე: ამ წინადადებებს გარდა ერთისა, დროის მოკლე ვარიანტში არანაირი არც სიკეთის და არც ზიანის მოტანა შეუძლია. ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში შეიძლება საკმაოდ სერიოზული პრობლემები შეექმნას ქვეყნის მართვას. როგორც ეკონომისტი ამ წინადადებებს დავაჯგუფებდი შემდეგნაირად. პირველი ჯგუფი წინადადებებისა არის ღია კარის მტვრევა. მეორე ჯგუფი – პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლა; მესამე ჯგუფი – გაუგებრობა; მეოთხე – შეცდომები. ღია კარის

მტვრევაა მაგალითად კონსტიტუციით იმის უზრუნველყოფა, რომ ლარი ყოველთვის იყოს კონვერტირებადი. ლარი უკვე 14 წელია კონვერტირებადი. იმ დღიდან, რა დღიდანაც ლარი შემოვიდეთ, ლარი არის კონვერტირებადი. ის თვისუფლად გადაიცვლება ქვეყნის შიგნით ნებისმიერ კონვერტირებად ვალუტაზე. ხოლო მისი ეს კონვერტირებადობა გამყარებულია რამდენიმე საერთაშორისო აქტით: 1997 წელს საქართველო შეუერთდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეთანხმების მე-8 პარაგრაფს, რომლის თანახმადაც ჩვენ ავიდეთ ვალდებულება, ყოველთვის უზრუნველვყოთ ლარის შიდა კონვერტაცია. მოგეხსენებათ, საერთაშორისო შეთანხმება ქართულ კანონმდებლობაზე მაღლა დგას. ამიტომ კონსტიტუციით ლარის კონვერტირებადობის დაცვას, აზრი არ აქვს, იმიტომ, რომ ის ისედაც უკვე დაცულია. გარდა ამისა, 1999 წელს საქართველო შევიდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (მსო). იქაც გვაქვს ვალდებულება ქვეყნის შიგნით ვალუტის თავისუფალ კონვერტაციასთან დაკავშირებით. ამიტომ დღეს კონსტიტუციაში იმის ჩაწერა, რომ ლარის კონვერტაციის შეზღუდვა კონსტიტუციითაც გამორიცხებულია, არაფრის მომცემია. ეს ისედაც ასე. რაც შეეხება ფასების ლიბერალიზაციას, მოგეხსენებათ, რომ გარდა ბუნებრივი მონოპოლიების მომსახურების თუ საქონლის ფასებისა, რომლებიც არის რეგულირებადი (მაგალითად, ელენერჯის, ანკავშირგაბმულობის ტარიფები), განარჩები ყველა ფასები არის თავისუფალი. ქვეყანაში უკვე 17 წელია არის თავისუფალი ფასწარმოქმნის რეჟიმი. ბოლოს 1996 წელს გავათავისუფლეთ პურის ფასი. ხოლო მას შემდეგ, რაც გავხდით მსო-ს წევრი 1999 წლიდან, გვაქვს აღებული საერთაშორისო ვალდებულება, რომ ფასები უნდა იყოს თავისუფალი. ასე რომ, ცალკე კონსტიტუციაში ამის ჩაწერას არანაირი აზრი არ აქვს. ესეც არის ღია კარის მტვრევაა.

**–შესაბამისად, ამ საკანონმდებლო ინიციატივების ჩამონათვალით პრეზიდენტი შეცდომაშია შეყვანილი?**

– ეს ინიციატივები არაფერია. ეს არის პოპულიზმი. უბრალოდ რაღაც თქვა, და თუ კაცი საქმეში არ არის ჩახედული, შეიძლება თქვას, რა კარგი რამე თქვაო.

- რომელი საკანონმდებლო ინიციატივები არის ქვეყნის პოლიტიკურ ორიენტაციასთან დაკავშირებული და გარკვეულწილად საფრთხის შემცველი?

- ასეთია პრეზიდენტის ის წინადადება, რომლის თანახმადაც ქვეყანაში არ უნდა იქნეს შემოღებული არანაირი ახალი მარეგულირებელი ორგანოები. ერთი შეხედვით ამაში ცუდი არაფერია. მაგრამ, თუ ქვეყანა ევროკავშირისაკენ მიდის, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ევროკავშირის ბაზარი არის რეგულირებადი. იქ საკმაოდ რთული მექანიზმები გამოიყენება ბაზრის რეგულირებისთვის. ხოლო თუ ჩვენ კონსტიტუციაში ჩავწერთ, რომ არანაირი მარეგულირებლები არ უნდა იყოს, კონსტიტუციას ხომ ვერ დავარღვევთ?! აქედან გამომდინარე, ევროკავშირს ვერ დაეუახლოვდებით. ეს უკვე პოლიტიკური – არაევროპული არჩევანია. აი, რა ჩანაწერის გაკეთება სურს პრეზიდენტ სააკაშვილს კონსტიტუციაში. ამავე დროს პოპულარიზაცია ეწევა სინგაპურის მოდელს. მაგრამ სინგაპური, გარდა იმისა, რომ განვითარებული ეკონომიკური სისტემით ხასიათდება, ეს არის კლასიკური ავტორიტარული რეჟიმის სახელმწიფო. როცა პრეზიდენტი იძახის, რომ ჩვენ არანაირ მარეგულირებლებს არ შემოვიღებთ, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ევროკავშირს ვცილდებით. თავად მკითხველმა გამოიტანის დასკვნა, ვის ინტერესშია საქართველო დაშორდეს ევროპას. არა მგონია, ეს ქართველი ხალხის ინტერესში იყოს.

- ბატონო ლადო, საკმაოდ მნიშვნელოვანი ინიციატივა გაუღერდა ბანკებთან მიმართებაში. თუ არ ვცდები, თქვენ ბუნდოვანი უწოდებთ ინიციატივას, რომ სახელმწიფო წილს არ უნდა ფლობდეს კომერციულ ბანკებში...

- ეს თავისთავად სწორია. რატომ უნდა ფლობდეს სახელმწიფო თავის წილებს კომერციულ ბანკებში. სახელმწიფო არის მხოლოდ ერთადერთი საემისიო ბანკის მესაკუთრე – ეროვნული ბანკის და კომერციულ ბანკებთან მას წილები არ უნდა ჰქონდეს. მაგრამ როცა პრეზიდენტი იძახის, კონსტიტუციაში უნდა ჩაიწეროს, რომ სახელმწიფოს არ უნდა ჰქონდეს წილი ბანკებში, იბადება კითხვა: რომელ სახელმწიფოს? საქართველოს სახელმწიფოს, თუ საერთოდ სახელმწიფო წილები არ უნდა არსებობდეს? ხომ შეიძლება სხვა სახელმწიფოს ჰქონდეს წილები შენს საბანკო სისტემაში? მით

უფრო, რომ დღეს ასეთი რამ უკვე გვაქვს, 2005 წლის იანვარში პრეზიდენტმა სააკაშვილმა და პრემიერმა უკანამ დიდი ზარ-ზეიმით გააპიარეს “ვენეტორგ ბანკის” შემოსვლა საქართველოში, რომელმაც გქბ-ს აქციების საკონტროლო პაკეტი იყიდა. ვითიბი ბანკის 99%-ს აკონტროლებს რუსეთის ფედერაციის მთავრობა, ანუ ეს არის სახელმწიფო ბანკი. შესაბამისად, მოხდა გქბ-ს ნაციონალიზაცია. მაგრამ არა ქართული, არამედ რუსული სახელმწიფოს მიერ, რასაც პრეზიდენტი სააკაშვილი მიესალმა. დღეს ვითიბი ბანკი არის რუსეთის სახელმწიფო ბანკი. ისმის კითხვა, თუ კონსტიტუციაში ჩაეწერო, რომ სახელმწიფოს არ უნდა ჰქონდეს წილი, რა ეს ბანკი უნდა დაეხუროთ, უბრალოდ გაეგდოთ თუ პრივატიზაცია უნდა ვაიძულოთ? თუ მარტო საქართველოს სახელმწიფოს უნდა აეკრძალოს წილების ქონა და რუსეთისთვის ეს დასაშვებია? საქართველოს ბაზარზე არის აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი. ეს 100%-ით სახელმწიფო ბანკია. დღეს ეს ბანკი მონაწილეობს ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის მშენებლობაში. რადგან ეს სახელმწიფო ბანკია, საქართველოდან უნდა გაეუშვათ? მე მომხრე ვარ, რომ სახელმწიფოს საერთოდ არ ჰქონდეს არანაირი წილი ბანკებში. მაგრამ ეს ჩანაწერი კონსტიტუციაში წარმოქმნის ბუნდოვანებას. კითხვას, რომელ სახელმწიფოს ეხება, მხოლოდ ქართულ სახელმწიფოს თუ აბსოლუტურად ყველას?

**– პრეზიდენტის თქმით, გადასახადების გაზრდა თუ შემოღება რეფერენდუმის გზით უნდა გადაწყდეს. მიზანშეწონილად მიგაჩნიათ ამ კუთხით რეფერენდუმის ჩატარება?**

– ამ საკანონმდებლო ინიციატივას მე შეცდომების ჯგუფს მივაკუთვნებ. როგორ წარმოგიდგენიათ, რომელი ადამიანი დათანხმდება გადასახადების მიმატებას. ხომ აპრიორი ცნობილია, რომ ასეთი რეფერენდუმი უაზრობაა. ამ რეფერენდუმში დახარჯული ფული კი გადაყრილი ფულია. თანაც პოლიტიკური პროცესი იმას ნიშნავს, რომ ოპოზიცია ყოველთვის ხელისუფლებას აკრიტიკებს. თუ ხელისუფლებას კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე დასჭირდა გადასახადია გაუქმება და მის ნაცვლად ახალი გადასახადის შემოღება, გაუქმებისთვის რეფერენდუმი არ სჭირდება და შეუძლია გააუქმოს, ხოლო შემოღებისთვის დასჭირდება, ვინ დაუჭერს მას

მხარს? არის თუ არა ეს შეცდომა. ეს არის ძალიან სერიოზული შეცდომა. უფრო მეტიც, მე ვიტყვოდი, რომ ამ ჩანაწერით აპირებენ ჩვენი საგადასახადო სისტემის “იელოვიზაციას”.

**– რას ნიშნავს საგადასახადო სისტემის “იელოვიზაცია”?**

– ჩვენ ვიცით, რომ იელოვას მოწმეებს აქვთ საკმაოდ უცნაური შეზღუდვა. ისინი სისხლის გადასხმის წინააღმდეგი არიან, თუნდაც ეს მათ შვილს ეხებოდეს. მომაკვდავ იელოველს რომ ჰკითხო, გადაგისხა სისხლი რომ გადარჩეო, ის ყოველთვის გეტყვის – არა. დახლოებით იგივეს ვაკეთებთ ახლა საგადასახადო სისტემაში. მოსახლეობას შევეკითხებით, თანახმა ხართ, რომ ქვეყნის საკეთილდღეოდ გადასახადები გაიზარდოს? ის გეტყვის არა, იმ შემთხვევაშიც კი თუ ეს ქვეყნისთვის ძალზედ საჭიროა. ის, რაც იელოველებშია და საღ აზრს ეწინააღმდეგება, იმის გადმოტანა უნდათ საგადასახადო სისტემაში.

**– რაც შეეხება სხვა შეცდომებს, რომელიც თქვენი აზრით, არის დაფიქსირებული “ეკონომიკური თავისუფლების აქტში”?**

– შეცდომათა ჯგუფში შედის საბიუჯეტო პარამეტრების მშპ-თან თანაფარდობის დაფიქსირება ბიუჯეტში. ეს არის ძალიან დიდი შეცდომა. მსოფლიოში არ არის ქვეყანა, სადაც ეს ეწეროს. საუბარია, იმაზე რომ ბიუჯეტის თანაფარდობა მშპ-თან არ უნდა იყოს 30%-ზე მეტი; რომ დეფიციტი არ უნდა იყოს 3%-ზე მეტი და შიგა და გარე ვალი ჯამში არ უნდა იყოს მშპ-ს 60%-ზე მეტი. ეს ნორმალური პარამეტრებია და აქ საკამათო არაფერია. ეს პარამეტრები აღებულია მაასტრიხტის შეთანხმებიდან. ეს არის ევროკავშირში გაწვევრიანების პირობა. შეიძლება გარკვეულ ვითარებაში ისე წარმართოს ეკონომიკური მდგომარეობა ქვეყანაში, რომ ბიუჯეტმა შეადგინოს მშპ-ს 31%. ასეთი ბიუჯეტი არ უნდა მივიღოთ, იმიტომ რომ კონსტიტუციაში 30% გვიწერია?! რაც შეეხება საგარეო ვალს. ჩვენი საგარეო და საშინაო ვალის ჯამური თანაფარდობა მშპ-თან დღეს არის 27%. ზედა ზღვარს 60%-ს რომ ვაფიქსირებთ, ე.ი. ვღებთ იმას, რომ ეს ვალი უნდა გაორმაგდეს? გაუგებარია.

**– “ეკონომიკური თავისუფლების აქტს” ხელისუფლებამ ისტორიული უწოდა და რეველუციური. არის ამაში ლოგიკა?**

– ხომ გითხარით, ეს არის ღია კარის მტვრევა და უკვე გადაწყვეტილი საკითხების კონსტიტუციაში ასახვა. ისტორიულია იმ თვალსაზრისით, რომ ევროკავშირისკენ სვლაზე უარს ვიძახით. შეცდომებზე გითხარით, თუმცა ერთი – დღევანდელი დღისთვის საზიანო შეცდომაზეც მინდა გითხრათ. ეს არის დეფიციტის მიბმა მშპ-ზე, რომელიც 3%-ს არ უნდა აღემატებოდეს. ეს თანაფარდობა აბსოლუტურად სწორია მაგრამ იცით დღეს რამდენია ბიუჯეტის დეფიციტის თანაფარდობა მშპ-სთან – 9%-ზე მეტი. რატომ არის 9%-ზე მეტი, იმიტომ, რომ საქართველო იღებს დახმარებას, როგორც რუსეთის აგრესიის მსხვერპლი ქვეყანა. თუ იქნება შეზღუდვა, რომ 3%-ზე მეტი არ უნდა იყოს, ეს ნიშნავს, რომ ამ დახმარებაზე უარი უნდა ვთქვათ. წარმოიდგინეთ, ქვეყანა ისედაც ეკონომიკურ კრიზისშია, დახმარებაზე რომ უარი ვთქვათ, ეს ეკონომიკას დაგვინგრევს. ანუ მოკლევადიან პერიოდში ეს შეცდომა უკვე ქვეყნისთვის საზიანოც კია.

– **ფიქრობთ, რომ შეგნებულად ეკონომიკურად გაუმართლებელი წინადადებები გააჟრერებინეს პრეზიდენტს?**

– არა მგონია. სიღრმისეულ ძიებებს ნუ ვაწარმოებთ. ჩვენი ქვეყანა იმართება იმპულსურად, ემოციურად, პიარიდან პიარამდე. ტალიაინის კომისიის დასკვნის განხილვა უნდა გადაფარულიყო რაიმე ახლით. ამ გამოსვლამ თავისი საქმე გააკეთა. მედია დაინტერესდა. სააკაშვილს ეს აქტი რომ არ გაეხმაურებოდა, დღეს ყველა ისევ ტალიაინის დასკვნაზე ილაპარაკებდა.

– **ეს ერთია, მაგრამ ფაქტია, რომ ამ ახალი საკანონმდებლო ინიციატივებით ხელსიუფლება ისევ სერიოზული კრიტიკის ობიექტი გახდა.**

– **გასაგებია. მაგრამ ეს ის კრიტიკა ხომ არ არის, რომელიც ტალიაინის კომისიისასთან არის დაკავშირებული და რომელიც ხელსიუფლებისთვის შეიძლება უფრო მძიმე მოსასმენი იყოს?**

– **ითქვას, თითქოს ეკონომიკის ლიბერალიზაციაზე აქცენტი და ამ კურსის გატარება ისევ ბენდუქიძის ხაზის გაგრძელებაა. ასეა?**

– რატომღაც მიჩნეულია, რომ ქვეყანას აქვს ლიბერალიზაციის ხაზი, ხოლო ბენდუქიძე ამის მთავარი იდეოლოგია. მათ აწყობთ, რომ ეს ტერმინი

დაბრალდეთ. რა, ლიბერალიზაციაა ქონების ჩამორთმევა? ბიზნესის დაყენება ლიბერალიზაციაა? ეს პიარისტული ზღაპარი თვითონ შექმნეს. მერე ყველა მედია საშუალებაში ლიბერალურ კურსზე მიდის ლაპარაკი. არ არის ეს ლიბერალიზმი. ეს უფრო ბოლშევიზმია, ვიდრე ლიბერალიზმი. გეკითხებით, ქვეყნის სინგაპურისკენ წაყვანა ლიბერალიზაციაა? სინგაპური ხომ ავტორიტარული რეჟიმის ქვეყანაა. ქვეყანა რომ ეკონომიკურ კრიზისშია და საერთაშორისო დახმარებაზე აური რომ უნდა ვთქვათ, ეს ლიბერალიზაციაა?! საგადასახადო სისტემის “იელოვიზაციას” რომ ვახდენთ, ეს ეკონომიკის ლიბერალიზაციაა? ამას ლიბერალიზაციასთან კავშირი საერთოდ არ აქვს. ამიტომ ნუ ავიტაცებთ. ქვეყანაში მოხდა ტერმინ “ლიბერალიზაციის” გაუფასურება.

**– ბიზნესმენები რატომ იწონებენ ამ საკანონმდებლო ინიციატივებს თუ რეალურად ღია კარის მტვრევა და არაფრისმოძიანია?**

– ჯერ ერთი, რომელი ბიზნესმენი იქნება მომხრე გადასახადი რომ გაიზარდოს; მეორე – ფიქრობთ, რომ ბიზნესმენი დამოუკიდებელია და შეუძლია ღიად თქვას, რასაც ფიქრობს? და მესამე: არის საკითხები, რომელიც ბიზნესმენების გადასაწყვეტი არ არის. ყველა ბიზნესმენი აღფრთოვანებული იყო, როცა სოციალური გადასახადი გაუქმდა. თუმცა საშემოსავლო გადასახადი ხალხს გაუორმაგდა. ბიზნესმენები კმაყოფილი დარჩნენ, სოციალური გადასახადი რომ არ აქვთ გადასახდელი, ჩვენ – დაქირავებულები კმაყოფილები დავრჩით?! ამიტომ ეს საზოგადოება მარტო ბიზნესმენები არ არის.

**– ხელისუფლება აცხადებს, რომ მზად არის “ეკონომიკური თავისუფლების აქტი” ექსპერტებთან ერთად გაიაროს. როგორ ფიქრობთ რეალურად ანგარიშს გაუწევენ ალტერნატიულ აზრს? და თუ მიიღებთ მონაწილეობას ამ აქტის განხილვაში?**

– რაში მივიღო მონაწილეობა, ჩემი ქვეყნისთვის ზოგჯერ არაფრის მომცემ, და ზოგჯერაც საზიანო საქმეში? რა, რომ კონსტიტუციაში ჩაიწეროს ის, რომ ღარი უნდა იყოს თავისუფლად კონვერტირებადი? თუ იმაში მივიღო მონაწილეობა, რომ საქართველო ევროკავშირისკენ არ წავიდეს. თუ იმ

სისულელეში, რომ კრიზისში მყოფმა ქვეყანამ, დახმარებაზე უარი თქვას. გითხარით, არცერთი წინადადება არ არის საღი აზრით გამაგრებული: ან არის ღია კარის მტვრება, ან არის შეცდომა, ან არის ქვეყნის ორიენტაციის შეცვლა. რაში მივიდო მონაწილეობა?!

– რაზე მიანიშნებთ, რომ პარლამენტში პრეზიდენტმა სისულელის პრეზენტაცია მოაწყო ნაციონალური უმრავლესობის მქუხარე ტაშის ფონზე?

– რა, ასეთი რამ პირველად მოხდა?

– დღეს პარლამენტში ერთი მაღალი დონის ეკონომისტიც არ მოიძებნება, რომელიც ალტერნატიული აზრის დაფიქსირებით ხელისუფლებას ამ უხერხულობიდან გამოიყვანდა?

– ასეთი ადამიანი რომ არსებობდეს, რომელსაც გარდა ცოდნისა, მოქალაქეობრივი პოზიციაც ექნებოდა, ხომ ადგებოდა და იტყოდა. მე არ ვიძახი, რომ პარლამენტში არ არის ხალხი, ვისაც ეკონომიკური განათლება აქვს. ასეთები არიან. ალბათ, ზოგიერთი მათგანი ხვდება, რომ პოლულიზმთან და შეცდომასთან აქვს საქმე. მაგრამ დუმს. დუმილი კი თანხმობის ნიშანია. დუმილით ის ეთანხმება პრეზიდენტს. რატომ ეთანხმება, რა ვიცი. ზოგი შეიძლება იმიტომ ეთანხმება, რომ სკამის დაკარგვა არ უნდა; ზოგი – ალბათ იმიტომ, რომ ბიზნესი აქვს და ეშინია, არ დააყაჩაღონ; ზოგს – კი აქვს ეკონომიკური განათლება, მაგრამ ეკონომიკა მაინც არ იცის. ერთს გეტყვით, იმისათვის რომ პრეზიდენტმა ასეთი საკითხების აპრობაცია გაიაროს, ამისთვის მას უნდა ჰქონდეს ეკონომიკური საბჭო, სადაც ეყოლება ეკონომისტები. ასეთი საბჭო ქალაქებზე, რამდენადაც ვიცი, დღესაც არსებობს. მაგრამ ის არ მოქმედებს. მოერეც – მთავრობაში უნდა იყვნენ ისეთი წევრები, რომლებსაც ეს საკითხები ესმით და აქვთ მოქალაქეობრივი პოზიცია და სკამს არ არიან გამოკიდებული.

**შორენა კოწოწაშვილი**